ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 4 თებერვალი, 2021 №15 (8544) ფასი: 60 თეთრი

თეა წულუკიანი კულტურის მინისტრი გახდება

გვ.2

4 თებერვლიდან

მაია ბურჭულაძე

ეს სასიამოვნო ხელის ჭუჭყი

უკანასკნელი პრემიერა

„დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“

ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

„ოცნებისთვის პარლამენტში მარტო დარჩენა თვითმკვლელობა იქნება“

სოსო ცინცაძე: „ოცნება“ არ გაჩერდება, ყველაფერს გააკეთებს, რომ პარლამენტში სწორედ ნაციონალური მოძრაობიდან შეიყვანოს ვინმე“

გვ.3

„კალაძის გვერდზე გაწევა „ოცნებას“ ძვირად დაუჯდება“

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „მომწონს ელისაშვილის სითამამე და გამბედაობა“

გვ.4

„ოპოზიცია ჩიხშია“

გიგა ბუკია: „ამ სიტუაციაში მოლაპარაკებების აზრს ვერ ვხედავ“

„ვადამდელი არჩევნები მხოლოდ მაშინ დაინიშნება, როცა ქუჩაში ბევრი ხალხი გამოვა“

გვ.3

ნიკა ჩიტაძე: „ხელისუფლებას ხალხის უფრო ეშინია, ვიდრე ოპოზიციის მოწოდებების“

ამირან სალუქვაძე: „მელაშვილი პოლიტპატიმრად ოპოზიციამ შეაფასა“

გვ.4

პროგაციის დარღვევისთვის 2010 წლიდან ძებნილი პირი პოლიციამ ზუგდიდში დააკავა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 სარფში არადეკლარირებული მედიკამენტები აღმოაჩინეს

2 თბილისის 200 რესტორანი 6 თებერვლიდან თვითთნებურად გახსნას აპირებს

2 კელი დეგნანი: „ოპოზიცია პარლამენტში უნდა შევიდეს“

6 ნავალნის 3,5 წელი მიუსაჯეს

ეკატერინე ტიკარაძე: „საქართველო მზად არის ვაქცინაციისთვის“

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე თბილისის ინფექციურ საავადმყოფოს ეწვია.

უწყების პირველი პირი ვაქცინის შენახვის პირობებს ადგილზე პირადად გაეცნო.

ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, ინფექციური საავადმყოფო უკვე მზად არის ვაქცინის მისაღებად და პროცესის დასაწყებად.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, ვაქცინაციისთვის მზადების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს სამედიცინო დაწესებულებებში. ულტრაცივი ჯაჭვის მოთხოვნებიდან გამომდინარე ვაქცინაციის პროცესში ის დიდი კლინიკები ჩაერთვებიან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი რესურსი, როგორც პაციენტთა ნაკადების მართვის, ასევე შესაბამისი აღჭურვის თვალსაზრისით.

სამედიცინო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ნებართვა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაში, ასევე იმუნიზაციის შესახებ გამოცდილება და სულ მცირე სამი ბრიგადა, ასევე იზოლირებული შესასვლელი და აცრის შემდეგ დაყოვნების სივრცე.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში შერჩეულია 10 სამედიცინო დაწესებულება და 5 სარეზერვო კლინიკა.

– საქართველო მზად არის ვაქცინაციისთვის. ჯანდაცვის სამინისტრომ აწარმოა წარმატებული მოლაპარაკებები, რის შედეგადაც თებერვლის ბოლოს საქართველოში ვაქცინების პირველი ნაკადი შემოვა და პირველ რიგში ექიმები აიცრებიან.

ინფექციურ საავადმყოფოში დავათვალიერე სწორედ იმ ცივი ჯაჭვის არსებობა, რომელიც აუცილებელია პფაიზერის ვაქცინის მისაღებად. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს თითოეული დეტალი, რათა პროცესი უსაფრთხოდ წარიმართოს როგორც მედიკოსებისთვის, ასევე შემდგომში ჩვენი მოსახლეობისთვის. რეგულირების სააგენტოს მხრიდან ყველა კლინიკის დეტალური შესწავლა უკვე დაიწყო, – განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტომ უკვე დაიწყო აღნიშნული კლინიკების შემოწმება და შეფასება.

გარდა ამისა, უკვე დაწყებულია დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემთა ბაზაში სამედიცინო პერსონალის რეგისტრაცია.

კალაძემ „ოცნებას“ 60.000 ლარი აჩუქა, ქველმოქმედებაში კი 280.000 დოლარი დახარჯა

დედაქალაქის მერმა ქონებრივი დეკლარაცია 2021 წლის 31 იანვარს შეავსო. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, კახა კალაძემ გასულ წელს ქველმოქმედებაში 280.000 დოლარი დახარჯა, ხოლო პარტია „ქართულ ოცნებას“ შემოწირულობის სახით 60.000 ლარი გადაურიცხა.

როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, თბილისის მერის საკუთრებაშია: მშენებარე, 650 კვ.მ. ფართობის საცხოვრებელი სახლი დაბა წყნეთში, რომელშიც 2013 წელს 500.000 ლარი გადაიხადა. 101 კვ.მ. მიწის ნაკვეთი თბილისში, სამი ავტოსადგომი, ასევე 258,54 კვ.მ. სახლი, რომელშიც 2018 წელს 928.414 ლარი გადაიხადა. იმავე მისამართზე მდებარე მეორე ბინა, კერძოდ, 203,04 კვ.მ. ფართობის, რომელშიც 774.875 ლარი აქვს გადახდილი.

კახა კალაძის საკუთრებაშია 2017 წელს შეძენილი ორი ავტოფარეხი ჭავჭავაძის გამზირზეც, რომელთა ჯამური ღირებულება 14.000 აშშ დოლარია. ორი ბინა ჭავჭავაძის გამზირზე, რომელშიც 2017 წელს 160.000 აშშ დოლარი გადაიხადა. 2006 წელს აქვს შეძენილი კიდევ ერთი ბინა ვაკეში, რომლის ღირებულებაც 71.280 ლარია.

კალაძის საკუთრებაშია ასევე: სახლი სამტრედიაში, ორი აგარაკი წყნეთში, 396 კვ.მ ფართობის ბინა თბილისში, 2.380 კვ.მ მიწის ნაკვეთი სამტრედიაში, სამი მიწის ნაკვეთი წყნეთში, ავტოფარეხი თბილისში, ბურძგლას ქუჩის მიმდებარედ, ორი ბინა უკრაინაში და ორი არასაცხოვრებელი ფართი სამტრედიაში.

ასევე, თბილისის მერს ეკუთვნის: მსუბუქი ავტომობილები: ფიატ 500, ტოიოტა ქემრი და ბრაბუს ულტიმეიტ 125, მოტოსატრანსპორტო საშუალება – ჰარლეი დევიდსონი.

გარდა ამისა, კახა კალაძემ 2020 წელს შეიძინა მოტოსატრანსპორტო საშუალება ჰარლეი დევიდსონ როუდ კინგი (10.000 აშშ დოლარი) და მსუბუქი ავტომანქანა მერსედესი (110.000 აშშ დოლარი).

დეკლარაციის შევსების მომენტში კახა კალაძე ფლობდა: ინტეზა სან პაოლოს მიმდინარე ანგარიშზე – 4.200.000 აშშ დოლარს, „საქართველოს ბანკის“ საბარათე ანგარიშზე – 9.392 აშშ დოლარს, „ბანკი ქართუს“ საბარათე ანგარიშებზე – 5. 391 აშშ დოლარს, 2.501 ევროს, 471 დოლარს, 181 ევროს. ჯულიუს ბაერის მიმდინარეზე – 365.000 აშშ დოლარს, ხოლო დანაზოგის სახით – 7.500 აშშ დოლარს და 8.000 ევროს.

დედაქალაქის მერმა გასულ წელს ხელფასის სახით 29.917 ლარი მიიღო.

კალაძის მფლობელობაშია ქართველი მხატვრების – ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის მიერ შესრულებული 6 ფერწერული ტილო, რომლებიც კალაძემ 2000-2009 წლებში შეიძინა. ჯამში 5 ფერწერულ ტილოში მან 245 000 დოლარი გადაიხადა, მე-6 ტილო კი საჩუქრად მიიღო.

კელი დეგნანი: „ოპოზიცია პარლამენტში უნდა შევიდეს“

აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა მათ შორის არსებულ განსხვავებებზე კომპრომისის მისაღწევად ქვეყნის ინტერესები პირველ რიგში უნდა დააყენონ და ამომრჩევლების აზრი გაითვალისწინონ.

– ქართველი ხალხი სხვადასხვა გამოკითხვაში აცხადებს, რომ მისთვის მთავარი პრობლემები არის სამუშაო ადგილები, მაღალი ფასები, სიღარიბე. ისინი ასევე აცხადებენ, რომ სურთ, პარლამენტის წევრებმა ერთად იმუშაონ ამ საკითხებზე პარლამენტში. იმედი მაქვს, პარტიები, მათ შორის არსებული განსხვავებების გადალახვის სხვადასხვა ვარიანტის განხილვისას ამას გაითვალისწინებენ, – აღნიშნა ელჩმა.

მან იმედი გამოთქვა, რომ იმ საკითხების გადაუდებლობა, რაც ქართველ საზოგადოებას აწუხებს, პოლიტიკურ პარტიებს პარლამენტში ერთად მუშაობისკენ უბიძგებს.

– იმედი მაქვს, პარტიების ლიდერები ქვეყნის ინტერესებს პირველ რიგში დააყენებენ, მოუსმენენ, რა არის მნიშვნელოვანი ამომრჩევლებისთვის და ეს არის სამუშაო ადგილები, მაღალი ფასები, სიღარიბე, კოვიდ 19-ის ეკონომიკური შედეგები.

ვფიქრობ, რომ ამ საკითხების მოგვარების გადაუდებლობა პარტიებს უბიძგებს, რომ კომპრომისს მიაღწიონ, იპოვონ პრობლემების გადაჭრის გზები და მოვიდნენ პარლამენტში ამ საკითხებზე მუშაობის დასაწყებად, – განაცხადა კელი დეგნანმა.

თეა წულუკიანი კულტურის მინისტრი გახდება

პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის ამჟამინდელი თავმჯდომარე თეა წულუკიანი მინისტრის რანგში აღმასრულებელ ხელისუფლებაში ბრუნდება.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, გადაწყვეტილია, რომ წულუკიანს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ჩააბარებენ, რაზეც მმართველ გუნდში კონსულტაციები უკვე შედგა.

როგორც ცნობილია, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იყოფა. ცვლილებების გათვალისწინებით, ცალკე უწყებად ჩამოყალიბდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, რომელსაც თეა წულუკიანი უხელმძღვანელებს.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე მიხეილ ჩხენკელი დარჩება.

თბილისის 200 რესტორანი 6 თებერვლიდან თვითნებურად გახსნას აპირებს

„სასოწარკვეთილების ამოძახილს“ უწოდებენ რესტორატორები 6 თებერვლისთვის დაანონსებულ დაუმორჩილებლობას. იმ შემთხვევაში, თუ შაბათამდე საკოორდინაციო საბჭომ მათი სფეროს გახსნის შესახებ გადაწყვეტილება არ მიიღო, რესტორნები მუშაობას თვითნებურად განაახლებენ, შესაძლო ნეგატიურ შედეგებზე პასუხისმგებლობას აიღებენ და დაიცავენ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც აჭარის რესტორნებისთვის დაწესდა.

შეფმზარეულმა მერიკო გუბელაძემ ფეისბუქში დაწერა:

„მარტივადაა საქმე: მსოფლიოში ფორს მაჟორია, ქვეყანაშიც და ჩვენს სფეროშიც ფაქტობრივად. მაგრამ არა იურიდულად. არა, იმიტომ რომ ჩვენმა მთავრობამ ასე გადაწყვიტა.

ანუ რა ხდება? ბიზნესი დაკეტეს, მაგრამ აღებულ ვალდებულებებთან პირისპირ დაგვტოვეს. ბანკი გადასახადს გვთხოვს, კომუნალურები გაძვირებული და გადასახდელია, გატანის სერვისები 30% იან წილში გვიზის, სტაფის დიდი ნაწილი სახლშია და მშიერია.

რა ხდება მეორე მხარეს: გრიალებენ სასტუმროები და რეზორტები (ღმერთმა შეარგოთ), იატაკქვეშ მუშაობს ნახევარი თბილისის რესტორნები და მთავრობაც სიამოვნებით სტუმრობს მათ.

ამიტომ შაბათს, 6 თებერვალს, თბილისის 200-მდე რესტორანი აცხადებს დაუმორჩილებლობას. დაუმორჩილებლობა გამოიწვია შერჩევითმა სამართალმა და მთავრობის არაადეკვატურობამ.

რესტორნები გაიხსნება რეგულაციების მკაცრი დაცვით!“

რესტორატორები ამბობენ, რომ მათი ინდუსტრია ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მათ გამოთვალეს – კვლევის მიხედვით, პანდემიამდე, 2019 წელს, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიამ სახელმწიფო ბიუჯეტში მილიარდ ლარზე მეტი შეიტანა, ახლა კი, როგორც რესტორატორები ამბობენ, ვეღარც სახელმწიფოს ეხმარებიან და სფეროც განადგურების პირას არის.

– დაუმორჩილებლობა კანონდარღვევაა, – ამბობს ეკონომიკის მინისტრი.

ნათია თურნავა იმედოვნებს, რომ რესტორატორები არ მიმართავენ დაანონსებულ ფორმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს შესაბამის სანქციებს.

მთავრობას კონსენსუსის იმედი აქვს. არ არის გამორიცხული, სტუმარმასპინძლობის სფეროს გახსნასთან დაკავშირებით გეგმა მიმდინარე კვირაშიც გაიწეროს.

ქსნის ციხეში პატიმარმა ჭრილობები მიიყენა

ქსნის ციხეში პატიმრის მიერ თვითდაზიანებების მიყენების ფაქტს სპეციალურ პენიტენციარულ სამსახურში ადასტურებენ, თუმცა ამ ეტაპზე სხვა დეტალებზე არ საუბრობენ.

არსებული ინფორმაციით, პატიმარმა თვითდაზიანებები მუცლის არეში მიიყენა. მიზეზად კი ადმინისტრაციისგან უყურადღებობას ასახელებს. პატიმრის ახლობლების ინფორმაციით, მას ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და ექიმის დახმარება სჭირდებოდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძის გვერდზე გაწევა „ოცნებას“ ძვირად დაუჯდება“

პაატა ზაქარეიშვილი: „მომწონს ელისაშვილის სითამამე და გამბედაობა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, საზოგადოებაში აზრი ორადაა გაყოფილი, ნაწილი მიიჩნევს, რომ პარლამენტი ერთპარტიულია, ნაწილი თვლის, რომ – არა. რას იტყვით თქვენ?

– ფორმალურად პარლამენტი აღარ არის ერთპარტიული. მე ევროპელ სოციალისტებს ნამდვილად არ ვთვლი პარტიად, კარიკატურაა და რაღაც კომედია. ელისაშვილი იბრძოდა. მან პარტია შექმნა და მისი პარლამენტში შესვლა ფორმალურად პარლამენტს აღარ ქმნის ერთპარტიულს, მაგრამ ფაქტობრივად მაინც ითვლება, რომ იქ წამყვანი ძალა „ქართული ოცნებაა“ და ნებისმიერ გადაწყვეტილებას ის მიიღებს.

– თუმცა ერთპარტიული აღარ ერქმევა?

– სულ მცირე, ორი პარტია უკვე არის პარლამენტში და ფორმალურად მას ერთპარტიულს ვეღარ ვუწოდებთ. ასე მოიქცა თავის დროზე შევარდნაძე, როდესაც შეიყვანა მცირე დოზით ოპოზიცია და ასე მოიქცა მიხეილ სააკაშვილიც, თუმცა პარლამენტს ერთპიროვნულად მართავდნენ.

ის, რომ ელისაშვილი შევიდა, სულაც არაა ცუდი. მე მომწონს მისი სითამამე და გამბედაობა. კარგად უტევენ „ოცნებას“ შიგნით. მე ცალსახად არ მჯერა იმის, რომ ისინი მოსყიდულები არიან. მათ თავიანთი პრინციპები გააჩნიათ, თავიანთი პრინციპებიდან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ პარლამენტში უნდა იყვნენ.

– რა შედეგს გამოიღებს ეს ყველაფერი?

– ამის მშვენიერი მაგალითი იქნება ადგილობრივი არჩევნები, თუ რამდენ ხმას აიღებს ალეკო ელისაშვილი. წინა ადგილობრივ არჩევნებში, თბილისის მერის არჩევნებში, ალეკო ელისაშვილმა 17% აიღო. მას პარტია არ ჰქონდა და უნიკალური კონკურენცია გაუწია კალაძეს. თითქმის მეორე ტური შეიქმნა. სულ 51% აიღო მაშინ კალაძემ. ელისაშვილი მაშინ მეორე ადგილზე გავიდა და აჯობა ყველა ამ სისტემურ პარტიას.

ოქტომბერში გამოჩნდება, თბილისის მოსახლეობამ მოუწონა მას პარლამენტში შესვლა თუ დაგმო. თუ ელისაშვილი თბილისში აიღებს 17%-ს და მეტს, მაშინ თბილისის მოსახლეობას

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ვადამდელი არჩევნები მხოლოდ მაშინ დაინიშნება, როცა ქუჩაში ბევრი ხალხი გამოვა“

ნიკა ჩიტაძე: „ხელისუფლებას ხალხის უფრო ეშინია, ვიდრე ოპოზიციის მოწოდებების“

იაგო ნაცვლიშვილი

ბიზნესსექტორის წარმომადგენლების თხოვნის მიუხედავად, მთავრობა ეკონომიკის გახსნას ამ ეტაპზე მაინც არ აპირებს, რასაც პროტესტი მოჰყვა. რესტორნების ნაწილი დაუმორჩილებლობას აცხადებს და 6 თებერვალს გახსნას გეგმავს.
რა გველოდება გაზაფხულზე, ხომ არ არის მოსალოდნელი უმართავი პროცესები და სოციალური პროტესტის აფეთქება? — აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– ქვეყანაში მძიმე კრიზისია. არაფერი გახსნილა რამდენიმე გამონაკლისის გარდა და ვხედავთ, რომ რესტორნები დაუმორჩილებლობას აცხადებენ. ეს პროცესი სადამდე მიიყვანს ქვეყანას?

– შესაძლებელია, ამ შემთხვევაში მოსახლეობაში უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდოს. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დასაქმებულია კერძო სექტორში და კერძო სექტორზე მოდის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 80%-ზე მეტი. შესაბამისად, შესაძლებელია იმის თქმა, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც გააჩნიათ პოლიტიკური მოთხოვნები და გამოდიან ქუჩაში, შეუერთდებიან ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნები.

ახლა ისინიც ძალაუნებურად ჩაერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში, რომელიც გამოიხატება დემონსტრაციებსა და საპროტესტო აქციებში.

– ხედავთ იმ შესაძლო სურათსაც, რომ ხელისუფლებას ყველაზე მეტად რისიც ეშინია და რასაც უფრთხის, ის მიიღოს? მხედველობაში მაქვს ხალხი და რევოლუციური სცენარი.

– შესაძლებელია. მე პირადად ყოველგვარი რევოლუციის მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ ხალხს აქვს თავისუფლება, რომ გამოხატოს თავისი აზრი და ხალხს აქვს შეკრების უფლება. ამ მხრივ შესაძლებელია, უკმაყოფილო ხალხის რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს, იმიტომ რომ, რომც გახსნან სხვადასხვა ობიექტი, ფაქტია, ბიზნესი იმდენად დაზარალდა ამდენი ხნის განმავლობაში, რომ ამ განახლების პირობებშიც კი ბევრი ადამიანი ვერ იქნება დასაქმებული. ამიტომ კერძო სექტორს მოუწევს დასაქმებული ადამიანების გაშვება სახლში. ამიტომაც გაიზრდება უმუშევართა რაოდენობა.

ამიტომ ჩემთვის გაუგებარია ენდიაის გამოკითხვების შედეგები, რომლითაც „ქართულ ოცნებას“ მხარს უჭერს 30%-ზე მეტი და მთავრობის საქმიანობას დადებითად აფასებს 30%. ეს გარკვეულ კითხვებს აჩენს. ეს მაშინ, როცა ნაციონალურ მოძრაობას მხარს უჭერს 5%, ეს მაშინ, როდესაც პარტიამ მიიღო გაცილებით მეტი ხმა საპარლამენტო არჩევნებზე.

ფაქტია, რომ სიტუაციის დაძაბვა შესაძლებელია. სასურველია, ვითარება მშვიდობიანად მოგვარდეს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ასეთი რეალობა არსებობს.

– ეკონომიკის მინისტრმა გვითხრა, რომ ხარისხიან ტურისტებზე აქვთ გათვლა. ტურისტებისა და ჩვენი მოქალაქეების დახარისხებაც ხდება და ტრანსპორტის არგახსნაც ამით ხომ არ აიხსნება?

– ხარისხიან ტურისტზე საუბარი მინისტრის მხრიდან აბსოლუტურად მიუღებელია. შესაძლოა, ვიღაცას აქვს დიდი შემოსავალი და შეუძლია, 5-ვარსკვლავიან სასტუმროში დაისვენოს, მაგრამ ზოგ ადამიანს გააჩნია ნაკლები შემოსავალი და შედარებით ნაკლები კლასის სასტუმროში შეუძლია დაისვენოს, მაგალითად, საოჯახო სასტუმროში ან ბინა იქირაოს. ფაქტია, რომ ტურისტების დაყოფა არ შეიძლება.

იქნებ ვიღაცა კორუმპირებულია და ამიტომ აქვს მაღალი შემოსავალი?! სხვა ადამიანი კი ზნეობითა და მორალით ცხოვრობს. ამ ლოგიკით ხარისხიანი ის ტურისტია, რომელიც კორუმპირებულია?! ფულით ხომ არ განისაზღვრება?! სოკრატეს აქვს კარგად ნათქვამი, მთავარი ის კი არ არის, რა აქვს ადამიანს, არამედ, რა არის ადამიანში. ასე საქართველოში ვისაც მაღალი შემოსავალი აქვს, ხარისხიანი მოქალაქეა და ვისაც დაბალი შემოსავალი – უხარისხოა?

– მთავრობის მიდგომა ხომ არ გამოჩნდა ამით?

– ხარისხიანი ტურისტი რას ნიშნავს? ეს ისე შეიძლება გავიგოთ, რომ ჩამოსვლა შეუძლიათ იმ ტურისტებს, რომლებსაც შეუძლიათ, ძვირადღირებულ სასტუმროებში დაისვენონ. მარტო მაღალი კლასის სასტუმროებისთვის კეთდება და საოჯახო სასტუმროებისთვის – არა? მხოლოდ „შერატონი“, „ჰილტონი“ და „მერიოტი“ გაიხსნება თუ როგორ არის? ყველა ტურისტს უნდა შეუწყო ხელი, რომ ჩამოვიდეს, რა თქმა უნდა, შესაბამისი საკარანტინო პირობებისა და პროცედურების დაცვით.

ხარისხიანი და უხარისხო ტურისტებად დაყოფა მიუღებელია. როგორც საკუთარი მოქალაქეების დახარისხება არ შეიძლება სოციალური ნიშნით, ასევე უცხოელი მოქალაქეების დაყოფა არ შეიძლება ფულადი შემოსავლების მიხედვით, მით უმეტეს, ხშირ შემთხვევაში მაღალი შემოსავალი კორუმპირებულ და უზნეო ადამიანს გააჩნია. ამ პრინციპით როგორ ვისაუბროთ?

– რას სურათს ხედავთ უახლოეს თვეებში?

– შესაძლებელია, საპროტესტო ტალღა გაიზარდოს და პოლიტიკურ მოთხოვნებს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი თვალსაზრისით დაემატოს სოციალური მოთხოვნები. ეს მოთხოვნები დღესაც არსებობს, მაგრამ, შესაძლოა, მეტი ადამიანი გაჩნდეს.

– ანუ ელოდებით, რომ შესაძლოა სოციალურმა პროტესტმა იფეთქოს?

– კი, ეს შესაძლებელია, მაგრამ მე არ ველოდები რევოლუციური სცენარის განვითარებას. თუ ბევრი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, შესაძლოა, მთავრობა წავიდეს დათმობაზე და ვადამდელი არჩევნები დანიშნოს, მაგრამ ნაკლებად შესაძლებელია, მოვლენები ვარდების რევოლუციის სცენარით განვითარდეს. მაშინ სულ სხვა ვითარება იყო.

უკიდურეს შემთხვევაში ხელისუფლება იძულებული იქნება, წავიდეს დათმობებზე და მათ შორის ჩაატაროს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. ხელისუფლებას ხალხის უფრო ეშინია, ვიდრე ოპოზიციის მოწოდებების. ამიტომ ბევრია დამოკიდებული მოსახლეობის რაოდენობაზე.

„ოცნებისთვის პარლამენტში მარტო დარჩენა თვითმკვლელობა იქნება“

სოსო ცინცაძე: „ოცნება“ არ გაჩერდება, ყველაფერს გააკეთებს, რომ პარლამენტში სწორედ ნაციონალური მოძრაობიდან შეიყვანოს ვინმე“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ, მისი ინფორმაციით, 20-მდე ოპოზიციონერ დეპუტატს უნდა პარლამენტში შესვლა. უკვე სახელდება გვარებიც. საუბარია ნაციონალური მოძრაობის მილიონერ წევრებზე, ასევე ხათუნა სამნიძესა და თამარ კორძაიაზე. ღია კარის დატოვება ამის ნიშანია?

– ქართულ პოლიტიკაში სიმტკიცე, დადებული პირობის შესრულება ძალიან უცხო ხილია. ოპოზიციის ერთობა ყოველთვის ეფემერული იყო. ხან მამადავითზე იფიცებოდნენ და ხან ილიას მემორიალთან, მაგრამ ორი-სამი კვირა თუ გასტანდა მათი ერთობა.

რასაკვირველია, მოსალოდნელია, რომ პარლამენტში შემსვლელთა რიცხვი კიდევ გაიზარდოს. ხომ იცით, ცუდი მაგალითი გადამდებია. მით უფრო, მილიონერები ამ გადაწყვეტილებას სხვებზე უფრო მარტივად მიიღებენ, მათ უკან ბიზნესია და ზემოქმედების ბერკეტებიც მათზე უფრო დიდია. რიგით ოპოზიციონერს, მაგალითად, ზაალ უდუმაშვილს ვერაფერს უზამენ, მაგრამ ოქრიაშვილის შემთხვევაში ასე არ არის.

„ოცნება“ არ გაჩერდება. ის ყველაფერს გააკეთებს, რომ პარლამენტში სწორედ ნაციონალური მოძრაობიდან, მთავარი ოპოზიციური პარტიიდან შეიყვანოს ვინმე და ამით დაარტყას კიდეც ნაციონალებს. 20-მდე შეიძლება არა, მაგრამ 10-15 დეპუტატს კიდევ შეიყვანენ. რამდენად არის მზად ნაციონალური მოძრაობა ამ დარტყმისთვის, ვერ გეტყვით. რას ამზადებს ამისთვის ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობა, არ ვიცი.

„ოცნებამ“ კარგად იცის ან დასავლეთში კარგად „გააგებინეს“, რომ მარტო დარჩენა ანუ ერთპარტიული პარლამენტი პოლიტიკური ხარაკირია. ამიტომ ყველაფერზე წავლენ, ეცდებიან, შეყვანის პროცესი გააგრძელონ, მაგრამ ეს არ იქნება მოლაპარაკებებით, შეთანხმებებით, შუამავალი ელჩების მონაწილეობით. ეს უკვე იქნება, როგორც იტყვიან, დახლქვეშ პროცესი, დახლქვეშ შეთანხმება და მოლაპარაკება.

– ანუ მე-5 რაუნდი არ იქნება?

– არ იქნება. შესვლები თუ დაიწყო, არ იქნება, თანაც, თითო-თითო ადამიანებთან მოლაპარაკებები ბევრად ურჩევნია „ოცნებას“. ახლა მათთვის დემოკრატიული პროცესი და ღია შეთანხმებები კი არ არის მთავარი, მთავარია, ვიღაცები შეითრიონ და აღმოჩნდებიან ისეთები, ვინც მართლაც შევა.

მაგრამ აქ არის ერთი მაგრამ: ეს ადამიანები ახლა კი შევლენ პარლამენტში, თუმცა მათი პოლიტიკური ცხოვრება მხოლოდ ოთხი წელი თუ გაგრძელდება, თანაც – საუკეთესო შემთხვევაში. არაფერი ამ ქვეყანაზე გამორიცხული არ არის, მათ შორის – არც რიგგარეშე არჩევნები. ამ შემთხვევაში ეს ადამიანები, უბრალოდ, თამაშგარე მდგომარეობაში, პოლიტიკის მიღმა დარჩებიან. ეს არის მათი პოლიტიკური გედის სიმღერა.

– ელისაშვილი და იოსელიანი ამ გადაწყვეტილებით პოლიტიკურ კარიერას ასრულებენ?

– ასეა, მე მგონი, ასრულებენ. „მოქალაქეები“ შემდეგ არჩევნებზე ვეღარ გავა, თუნდაც მათი მემორანდუმის ყველა პუნქტი შესრულდეს, თუმცა იმდენი წყალქვეშა დინება და საეჭვო დეტალია, რომ ძალიან ადვილია ინტერპრეტირება.

– თუ არ შესრულდება ეს შეთანხმება, როგორც შემოვედით, ისე გავალთო. ეს პოპულიზმია?

– დიახ, აბა, რა არის! წმინდა წყლის პოპულიზმია. შევიდნენ და შევიდნენ, მორჩა. ესენი არსად გამომსვლელები არ არიან. ხომ სრულიად ნათელია, „ოცნების“ გამარჯვების რესურსი ივანიშვილის გარეშე რა არის! ეს არის ადმინისტრაციული რესურსი, პირდაპირ ვთქვათ – გაყალბება. ამიტომ სრულიად ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ საარჩევნო კოდექსი იქნება იდეალური და რომლის დაცვითაც ჩატარდება ქვეყანაში არჩევნები. არ მჯერა, რომ ორმა პოლიტიკურმა ნეოფიტმა, ელისაშვილმა და იოსელიანმა, მოლაპარაკებებში ჭიპმოჭრილ კობახიძესა და თალაკვაძეს აჯობა, თან მათ უკან ხომ მთელი მანქანა იდგა, სპეციალისტების არმია.

– საარჩევნო კოდექსზე შეთანხმება არარეალურია?

– მე არ მჯერა. ელისაშვილი აცხადებს, მაისში თუ არ იქნება კანონი მიღებული, მე უკან გამოვალო. არ არის გამორიცხული, „ოცნებამ“ სხვადასხვა ხრიკს მიმართოს და კანონი ჩააგდოს ან დრო გაწელოს, თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ კანონი მიიღონ, მაგრამ არჩევნები ისევ ისე ჩატარდეს და მის მიმართ ნდობა კვლავ ეჭვქვეშ იყოს.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„ოპოზიცია ჩიხშია“

გიგა ბუკია: „ამ სიტუაციაში მოლაპარაკებების აზრს ვერ ვხედავ“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაზე, ასევე სხვა პრობლემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატ გიგა ბუკიას.

– პოლიტიკური კრიზისი გრძელდება, მმართველი პარტია არ უუქმებს სადეპუტატო მანდატებს 51 ბარიერგადალახულ ოპოზიციონერს. ეს ოპოზიციონერები კი პარლამენტში არ შედიან. ხელისუფლებაც და ეს ოპოზიციაც ჩიხში ხომ არ შევიდნენ?

– ბარიერგადალახულმა ოპოზიციამ ახლაც და თავიდანვეც ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. ჩაიარა თუ არა საპარლამენტო არჩევნებმა, მაშინვე გამოაცხადეს, არჩევნები ტოტალურად გაყალბდა და პარლამენტში არ შევალთო. ეს გააკეთეს ისე, რომ არ გაიარეს სხვა ეტაპები – ხმების გადათვლა, პარლამენტში შესაბამისი საგამოძიებო კომისიის შექმნა. თავიდანვე უკიდურესი პოზიცია დაიკავეს.

– ოპოზიცია ამბობს, რომ უკვე გადასწორებული ოქმების გადათვლას აზრი არა აქვს.

– ეს ხელოვნური მიზეზია. ჩვენც გვაქვს შეკითხვები ამ არჩევნების შედეგზე, მაგრამ, რასაც ეს ოპოზიციონერები ამბობენ, უცნაურია. საქართველოში არსებობს 3800 საარჩევნო უბანი. ისე როგორ გადააკეთებდნენ ყველა შედეგს, რომ არავის გაეგო?! საუბარია ხელმოწერილ ბეჭედდასმულ ოქმებზე. ამ პოლიტიკოსებს შეეძლოთ, ემუშავათ და გაყალბების დამადასტურებელი მასალები წარმოედგინათ, თუნდაც შესულიყვნენ პარლამენტში და მონაწილეობა მიეღოთ 2020 წლის არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის საქმიანობაში. ამიტომ ოპოზიციის მიერ მოყვანილი მიზეზები მოგონილი არგუმენტებია თავიანთი პოზიციის გასამართლებლად.

– ანუ ჩიხში უფრო ეს ოპოზიცია აღმოჩნდა?

– რასაკვირველია. მოვუსმინოთ, რას ამბობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აკვირდებოდნენ ამ არჩევნებს. მათი დასკვნების მიხედვით, არჩევნები მეტ-ნაკლებად ნორმალურად ჩატარდა. ჩვენმა ხალხმა არაერთხელ დაადასტურა, რომ არ მიჰყვება ამ ოპოზიციას ქუჩაში. საზოგადოებისთვის რევოლუციური გზა მიუღებელია. როცა არც საერთაშორისო მხარდაჭერა გაქვს, არც ხალხი მოგყვება, არც პარლამენტში შედიხარ, ჩიხში ხარ!

– ხელისუფლებამ არჩევნების შემდეგ ამ ოპოზიციასთან საერთაშორისო შუამავლების დახმარებით მოლაპარაკებების ოთხი რაუნდი გამართა. მეხუთე რაუნდის მოწყობა როგორ წარმოგიდგენიათ?

– ეს ძნელი წარმოსადგენია. არც ერთი მხარე არ არის მზად შეთანხმებისათვის. ოპოზიცია ისევ რიგგარეშე არჩევნებს მოითხოვს და მოლაპარაკებებს ამ შემთხვევაში სთანხმდება. ხელისუფლება ვადამდელი არჩევნების დანიშვნას არ აპირებს. არსებობს დამაბრკოლებელი გარემოებები, რომლებიც აზრს უკარგავს მოლაპარაკებების შემდეგ რაუნდს. ხელისუფლება ინდივიდუალურად ცდილობს ოპონენტებთან მოლაპარაკებას, თუმცა ოპოზიცია რადიკალიზმს არ ეშვება.

– „ქართული ოცნების“ გარდა, პარლამენტში შევიდნენ „პატრიოტთა ალიანსისგან“ გამოყოფილი 4 დეპუტატი, ასევე ელისაშვილი და იოსელიანი. შესაძლებელია თუ არა, რომ სხვებიც შევიდნენ და პარლამენტი ორი მესამედით დაკომპლექტდეს?

– არიან ოპოზიციონერები, რომლებსაც პარლამენტში მუშაობა უნდათ. არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ ოპოზიციამ რადიკალიზმზე უარი თქვას. ორი მესამედი ზოგიერთ კანონს ესაჭიროება. თუ არ იქნება ორი მესამედი, ამით ხელისუფლებას არაფერი დააკლდება. საარჩევნო რეფორმა პირველ რიგში ოპოზიციას უნდა. თუ არ იქნება ორი მესამედი, ხელისუფლება ამას ოპოზიციას გადააბრალებს და ეს რეფორმა არ გამოვა, იტყვის, მე მზად ვიყავი, მაგრამ ოპოზიცია პარლამენტში არ შემოვიდაო. სხვა გადაწყვეტილებებს არსებული შემადგენლობაც მიიღებს.

– დავითგარეჯის საქმეზე დაკავებული კარტოგრაფები ხელისუფლებასა და ელისაშვილის პარტიას შორის მოლაპარაკებების შემდეგ გამოუშვეს გირაოთი. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურა და სასამართლო პარლამენტსა თუ მთავრობას ემორჩილებიან?

– ეს საქმე თავიდანვე იყო დაკავშირებული პოლიტიკასთან. ადრევე ვამბობდით, რომ მელაშვილისა და ილიჩოვას დაკავება მიბმული იყო მოახლოებულ არჩევნებთან. როგორც მაშინ იყო პოლიტიკა დაკავებაში, ისევეა პოლიტიკა გირაოთი გათავისუფლებაში. არჩევნების წინ დავითგარეჯის მტკივნეული თემა წამოსწიეს „მიშა მოდის“ წინააღმდეგ. ეს არჩევნებიც „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის მწვავე დაპირისპირების ფონზე ჩატარდა. დაკავებული იქნება თუ არა მელაშვილი, ეს არ არის მთავარი.

– მთავარი სახელმწიფოს ინტერესების დაცვაა?

– რასაკვირველია. საჭიროა იმის დადგენაც, ვის რა ბრალი მიუძღვის იმ სიტუაციაში, რომელიც დავითგარეჯის გარშემო შეიქმნა. მელაშვილი და ილიჩოვა ხომ არ განაგებდნენ ყველაფერს! ხელისუფლებამ დავითგარეჯზე ხალხს პასუხი უნდა გასცეს. ჩემი თაობისთვის დავითგარეჯი საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო იყო. საზოგადოება აპროტესტებდა საბჭოთა იმპერიის სამხედრო პოლიგონს ამ ტერიტორიაზე. ხელისუფლებამ მოსახლეობას დროულად უნდა გასცეს პასუხი, რა მოხდა წინა წლებში და გააცნოს გეგმა, როგორ აპირებს პრობლემის მოგვარებას.

– საზოგადოებას ეკონომიკური პრობლემებიც ახრჩობს. 6 თებერვლიდან ანონსდება დაუმორჩილებლობა შეზღუდვების მიმართ. იგეგმება დაკეტილი რესტორნების, ბავშვთა გასართობი ცენტრებისა და ფიტნესკლუბების ამუშავება.

– ამ დარგის ექსპერტი არა ვარ, ამიტომ დეტალურად ვერავის მივცემ რჩევას, რა უნდა გაიხსნას და რა – დაიხუროს. კორონავირუსმა მსოფლიო გააჩერა და მძიმე დარტყმა, მათ შორის, ფსიქოლოგიურიც მიაყენა ხალხს. ჩემი შეფასებით, შეზღუდვები მეტისმეტად მკაცრია და ხდება გადაჭარბებული გადაზღვევა. კარგი იქნება, არც ჯანმრთელობა დავაზარალოთ და არც – ეკონომიკა. დაუმორჩილებლობის ორგანიზატორებსაც ვერაფერს ვურჩევ. ყველა ადამიანი პირადად წყვეტს, რაზე აიღოს პასუხისმგებლობა. არ ვიცი, როგორ იმოქმედებს ამ შემთხვევაში ხელისუფლება. ბიზნესი საქართველოში ძალიან დაზარალდა.

ამირან სალუქვაძე: „მელაშვილი პოლიტპატიმრად ოპოზიციამ შეაფასა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

– ბატონო ამირან, მიხეილ სააკაშვილი 2007 წელს დავითგარეჯთან დაკავშირებით პრეზიდენტის რანგში ამბობს, გადაწყვიტეს, სასაზღვრო ხაზი ისე დახაზონ, სიმაღლეები მეზობელი ქვეყნის ტერიტორია გახდეს, დავითგარეჯი კი ჩვენი იქნებაო. სხვა საკითხია, რეალობაში ეს რა მოცემულობას ქმნის, რომ თუ სიმაღლეებს დათმობ, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსიც უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდება, მაგრამ ისმება კითხვა: რატომ უნდა დაუთმოს ქვეყანამ, ქვეყნის მთავარსარდალმა მოსაზღვრე სახელმწიფოს თავისი სასაზღვრო სიმაღლეები? თქვენ, როგორც სამხედრო პირს, რა შთაბეჭდილება გრჩებათ?

– მხოლოდ სამხედრო მიმართულებაზე არ არის საუბარი. მსგავსი განცხადებების უფლება არ აქვს პრეზიდენტს, უმაღლეს მთავარსარდალსა და თუნდაც სახელმწიფოს მეთაურს, არც სხვა ჩინოვნიკებს. ორ სახელმწიფოს შორის დღემდე მიმდინარეობს სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის პროცესი და პრეზიდენტი ამ განცხადებით შეიჭრა კომისიის კომპეტენციაში, რის უფლებაც მას არ ჰქონდა.

რა აზრი ჰქონდა საზღვრის დამდგენი სახელმწიფო კომისიის მუშაობას, თუ კომისია საზღვრების დამდგენი კი არ იყო, არამედ – სააკაშვილის გადაწყვეტილების რუკაზე დამტანი, რაც, რბილად რომ ვთქვათ, იურიდიულად არასწორია.

არ ვიცი, მიხეილ სააკაშვილი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში, ადგილზე ოდესმე იყო თუ არა, მაგრამ, რაზე საუბრობდა, ეტყობა, არ ჰქონდა წარმოდგენა. სააკაშვილს წარმოდგენა რომ ჰქონოდა (იქ ვინც არის ნამყოფი, სიმაღლეებზე ფეხით ასულა, მიხვდება), მიხვდებოდა, რომ შეუძლებელია საზღვრის ისე დახაზვა, როგორც მან ისურვა თუ ბრძანება გამოსცა. რაც ტელეკამერებით თქვა, შეიძლება, სურვილადაც აღვიქვათ, მაგრამ ჰქონდა თუ არა მას შესაბამისი ბრძანება გამოცემული, ამას გამოძიება დაადგენს.

– ეს განცხადება სააკაშვილმა აეროპორტში ალიევის გაცილებისას გააკეთა, თქვა, შევთანხმდითო.

– რას ნიშნავდა ეს განცხადება, გამოძიების საგანია, მაგრამ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. რეალურად, საზღვრის ისე დახაზვა, როგორც სააკაშვილი ამბობს, შეუძლებელია. აზერბაიჯანს იქ ბილიკს ხომ არ აუყვანდნენ და ხომ არ მოუხაზავდნენ.

ფაქტობრივად, მთა-მდელოზე გაშლილია მთლიანი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც სხვადასხვა ობიექტისაგან შედგება. ამის რუკები არსებობს. მკითხველს შეუძლია, საძიებო სისტემა „გუგლშიც“ აკრიფოს სამონასტრო კომპლექსი და



ძალიან ბევრ ფოტოსა და სქემას იპოვის. გადაიტანონ ფოტოები და ნახონ, დავითგარეჯის კომპლექსი იქ როგორ არის განლაგებული.

– თვითონ სახელმწიფო საზღვრის დამდგენი კომისიის მუშაობაზე რა შთაბეჭდილება გრჩებათ?

– შთაბეჭდილებას გამოძიება დაადგენს. რა აზრიც მქონდა ამასთან დაკავშირებით, გამოვთქვი.

მელაშვილი ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი არ არის. ის წამყვანი ექსპერტი გახლდათ. ამ საქმიანობაში თავად საგარეო საქმეთა სამინისტროა წამყვანი, დანარჩენი ექსპერტები სხვადასხვა უწყებიდან მიწვეულებად ითვლებიან. შესაბამისად, ალბათ, მისი ხასიათიდან გამომდინარეც, მას იქ თავისი სიტყვა ეთქმოდა. მე მას ვერ შევაფასებ. ყველა ვხედავთ იმ ინფორმაციებიდან, რომლებიც ვრცელდება. დანარჩენი გამოძიების საქმეა.

– მოგეხსენებათ, მელაშვილი, როგორც ე.წ. პოლიტპატიმარი, ისე გაათავისუფლეს და სხვადასხვა ეთერში მისი გამოსვლებიც ვნახეთ.

– მელაშვილი პოლიტპატიმრად ოპოზიციამ შეაფასა. პროკურატურამ კი სხვაგვარად შეაფასა. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ იმას, თუ პროკურატურამ ბრალდებულთან დაკავშირებით პროცედურები ამოწურა, მას შეიძლება შეეფარდოს სხვადასხვა აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა, შინაპატიმრობა ან სხვა. ერთ-ერთი ასეთი აღკვეთის ღონისძიებაა გირაო. საბოლოოდ რა შეეფარდება, ამას სასამართლო გადაწყვეტს.

– კი ბატონო, მაგრამ მელაშვილი ვიხილეთ სხვადასხვა ეთერში. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მის განცხადებებზე?

– ერთი მხრივ, ის ამბობს, რომ სახელმწიფო არ უნდა დავაზარალოთ, მეორე მხრივ, მისი განცხადებები აზერბაიჯანის მხარემ აიტაცა და ძალიან კარგად იციან, რომ ეს განცხადებები სიტუაციას ვნებს.

„კალაძის გვერდზე გაწევა „ოცნებას“ ძვირად დაუჯდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მოსწონს მისი საქციელი, ხოლო თუ ელისაშვილმა აიღო 15%-ზე ნაკლები ან 10%, ეს უკვე კატასტროფაა. ძალიან მალე გამოჩნდება მისი პარლამენტში შესვლის შედეგი.

– დღეს ოპოზიციის დიდი ნაწილი ნაციონალური მოძრაობის დღის წესრიგით, მისი კარნახით მოქმედებს. ასეა?

– არა მგონია, მთლად ასე იყოს. ალეკო ელისაშვილს ხომ ჰქონდა თავისი დღის წესრიგი. ვფიქრობ, რომ „ლელოც“ თავისი დღის წესრიგით მუშაობს. ასევე თავისი დღის წესრიგი აქვს „სტრატეგია აღმაშენებელს“. ზოგიერთი პარტიის გეგმები ემთხვევა ნაცმოძრაობის ნარატივს. „გირჩის“ ფრთა, ხვიჩია-მეგრელიშვილი, ეწინააღმდეგება ნაცმოძრაობას.

– მათაც სურთ პარლამენტში შესვლა.

– ისინი ამბობენ, რომ მათ შესვლას აზრი არა აქვს, თუ პარლამენტში არ მოგროვდება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელიც კენჭს უყრის 5%-იანი საარჩევნო ბარიერის დაწევას.

– 5%-იანი ბარიერის ეშინია ოპოზიციის დიდ ნაწილს და თვლის, რომ მაღალია?

– რა თქმა უნდა, მაღალია. კი, ბევრს ეშინია, მაგრამ არ ეშინია ნაციონალურ მოძრაობას. სწორედ ამიტომაა, რომ ასე განაგებს სიტუაციას, იცის, რომ თვითონ გავა და ამიტომ სხვებს კარნახობს თავის პოზიციას. ამ ფონზე სხვა პარტიები გამოწვევის წინაშე დგანან, ჰქონდეთ თავიანთი პოლიტიკა თუ გაჰყვნენ ნაცმოძრაობის ნარატივს. ვიღაცას აწყობს, რომ მართავდეს ნაცმოძრაობა და მისი ნარატივის ქვეშ იყოს, ვიღაცას – არა.

დღეს, ელისაშვილის მსგავსად, ყველა რომ შევიდეს პარლამენტში, გარდა ნაცმოძრაობისა, ეს ძალიან რთულ სიტუაციაში ჩააგდებს ნაციონალურ მოძრაობას. თუმცა საქმე ის არის, რომ ყველა არ შედის.

– უნდა შესულიყვნენ?

– ჯობდა, პარლამენტში ყოფილიყვნენ ეს პარტიები და იქიდან ებრძოლათ, ვიდრე ქუჩაში. ქუჩიდან ბრძოლას მაშინ აქვს აზრი, თუ ხალხი შენ მხარესაა. დღეს ხალხი მათ მხარეს არაა. ქუჩაში პოლიტიკოსები კი არ არიან ძლიერები, ქუჩაში ხალხია ძლიერი. დღეს ხალხი პოლიტიკურ პარტიებს არ მიჰყვება ქუჩაში. ამიტომ ოპოზიცია დღეს სუსტია. ეს როგორმე უნდა განჭვრიტონ და განსაზღვრონ, რომ არასწორი სტრატეგია აირჩიეს, რომ ქუჩიდან დაუპირისპირდნენ „ქართულ ოცნებას“, რადგან ქუჩა მათ მხარეს არ არის.

– ამ ფონზე რა ხდება „ქართულ ოცნებაში“? აქტიურად საუბრობენ შიდა დაპირისპირებებზე. რას იტყვით თქვენ?

– ეს ყველაფერი გამოჩნდება მხოლოდ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ. მანამდე გუნდში იქნება მოჩვენებითი ჰარმონია. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, ვინ რამდენ ქულასა და ხმას მოიტანს რეგიონებიდან.

„ქართულ ოცნებას“ ორი ნაბიჯი აქვს გადასადგმელი. პირველი, წარმატებას მიაღწიოს ადგილობრივ არჩევნებში და ადგილობრივი არჩევნებიდან გამომდინარე დაგეგმოს, როდის ჩატარდება შემდეგი საპარლამენტო არჩევნები.

2024 წლის არჩევნები ძალიან პრინციპული არჩევნებია. ის ტარდება მხოლოდ პროპორციული სისტემით. ამიტომ სიებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ვინ დააკომპლექტებს სიას 2024 წლისთვის, ეს გამოიკვეთება ადგილობრივი არჩევნების შემდეგ.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, ვისი კლანი გაძლიერდება?

– კალაძეს საკმაოდ დიდი რესურსები გააჩნია. მას თბილისი აქვს, ასევე იმერეთში საკმაოდ კარგი გავლენები აქვს, სამტრედიის მაჟორიტარი იყო, ქვემო ქართლშიც მას დიდ პატივს სცემენ, ენერგეტიკის მინისტრი რომ იყო, ბოლნისსა და მარნეულში დიდი უპირატესობა მოიპოვა.

– მას ებრძვიან „ოცნებაში“ და მის გვერდზე გაწევას ცდილობენ. ამაზე რას იტყვით?

– ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ გაიწევა გვერდზე. კალაძე გასწევს „ოცნებას“ თუ „ოცნება“ გაწევს კალაძეს, იმიტომ, რომ „ოცნება“ კალაძის გარეშე სულ სხვა „ოცნებაა“, ხოლო კალაძე „ოცნების“ გარეშეც კალაძეა. თუ ვიღაცა მოინდომებს კალაძის გაწევას, ეს ძალიან სახიფათო იქნება, რადგან კალაძის გარეშე ვინც რჩება, ისინი სულაც არ არიან კალაძეზე ძლიერები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, კალაძე დააყენებს თუ არა თავს მერად. თუ არ დააყენა, ე.ი. ის იბრძვის პრემიერობისათვის, ხოლო თუ დააყენა, მაშინ ის ელოდება 2024-ის საპარლამენტო არჩევნებს.

2021 წლის არჩევნების შემდეგ ბევრი რამ გადალაგდება ხელისუფლებაში. ამიტომ ადგილობრივ არჩევნებამდე არანაირ სერიოზულ ცვლილებასა და დაპირისპირებას არ ველოდები, არჩევნების შემდეგ კი ველოდები.

საკმაოდ საინტერესო პროცესები წავა. ამ ფონზე ოპოზიციამ მხოლოდ ქუჩა დაიტოვა საასპარეზოდ, ქუჩაში კი არაფერი ხდება.

გოჩა სვანიძე სასამართლოში დაიკითხა

3 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოში მაგისტრი მოსამართლის წინაშე რაგბის კავშირის ყოფილი პრეზიდენტი გოჩა სვანიძე დაიკითხა.

როგორც სვანიძემ დაკითხვის დასრულების შემდეგ აღნიშნა, შეკითხვები რამდენიმე საკითხს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვას შეეხებოდა.

მისი განცხადებით, რაგბის კავშირში არანაირ კრიმინალურ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია და ეს საქმე დიდი ხანია უნდა შეწყდეს, რისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაც მისი დაკითხვაა.

– ამ დაკითხვას ველოდები წელიწადია, ერთი წელი დასჭირდათ, რომ ეს განმარტებები მიეღოთ? ეს ჯერ კიდევ არ დასრულებულა და კიდევ გაგრძელდება. რაგბის კავშირში კრიმინალის თვალსაზრისით ყველაფერი არის სწორად და არანაირ კრიმინალურ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია. ამაზე, როგორც წესი, საჯარო განცხადებებს ვერ ვაკეთებ, რადგანაც ეს არის მართლმსაჯულების პროცესი, ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულის თვეში პირველი სხდომა უკვე ჩატარდა, რაზედაც სარჩელი გვაქვს შეტანილი იმ უზუსტობაზე, რომელიც სახელმწიფო აუდიტმა დაუშვა თავის დასკვნებში.

ეს საქმე დიდი ხანია შესაწყვეტია, ჩემი დაკითხვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ შეწყდეს. თუ ცუდისკენ რაღაც მოხდა, ამას კანონთან კავშირი არ ექნება, – აღნიშნა გოჩა სვანიძემ.

გოჩა სვანიძე მაგისტრი მოსამართლის წინაშე საქართველოს რაგბის კავშირში ქონების მითვისება-გაფლანგვის და ამავე ორგანიზაციაში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა.

პრობაციის დარღვევისთვის 2010 წლიდან ძებნილი პირი პოლიციამ ზუგდიდში დააკავა

პოლიციამ ზუგდიდში პრობაციის დარღვევისთვის 2010 წლიდან ძებნილი პირი დააკავა. როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დაკავებული სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით იყო ნასამართლევი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წალენჯიხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში 2010 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, ვაკე საბურთალოს მთავარი სამმართველოს მიერ ძებნილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით ნასამართლევი პირი, 1957 წელს დაბადებული ე.გ. ზუგდიდში დააკავეს.

ბრალდებულმა დაარღვია ჩადენილი დანაშაულის გამო მისთვის დაწესებული კანონით გათვალისწინებული პრობაციონერის უფლება მოვალეობები, რის გამოც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ე.გ. 2010 წელიდან იძებნებოდა, – ნათქვამია განცხადებაში.

სარფში არადეკლარირებული მედიკამენტები აღმოაჩინეს

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სარფში მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული მედიკამენტები აღმოაჩინეს.

უწყების ცნობით, კანონდამრღვევ მოქალაქეებს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა, საერთო ჯამში, 14.620 ლარი შეეფარდათ.

„საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფზე“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების ა.მ.-ს და ა.ი.-ს მართვის ქვეშ არსებული, სატვირთო ავტოტრანსპორტის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული, სხვადასხვა დასახელების მედიკამენტი (საერთო წონით 18 კილოგრამი) აღმოაჩინეს. საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, საერთო ჯამში, 14.620 ლარი შეეფარდათ“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

„თამბაქოს კონტროლის ალიანსი“: გიორგი ბახტურიძე ვარაუდობს, რომ ამჯერად საკასაციო სასამართლოში უჩივლებენ

„თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ინფორმაციით, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელ გიორგი ბახტურიძის მიმართ.

კერძოდ, არ დაკმაყოფილდა „სათამაშო ბიზნესის ასოციაციის“ სარჩელი, რომლის თანახმად, მომჩივანი გიორგი ბახტურიძისგან მედიის საშუალებით გაკეთებული განცხადებების პრესკონფერენციის საშუალებით უარყოფას მოითხოვდა, – „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელმა სათამაშო ბიზნესს ზოგადად კრიმინალური ხასიათის მქონე უწოდა.

„სათამაშო ბიზნესის ასოციაცია“ მტკიცებულების გარეშე აცხადებდა, რომ ბახტურიძის გამონათქვამებით ასოციაციაში შემავალ სუბიექტებს ზიანი მიადგა. სასამართლოსგან მინიჭებული გონივრული ვადის ფარგლებში, ასოციაციამ ზარალის დამადასტურებელი ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, რაზეც 2019 წლის 17 აპრილს, მოსამართლე მაია გიგაურმა განაცხადა, რომ „მოპასუხის მიერ გამოთქმული ფრაზებით მოსარჩელის, „სათამაშო ბიზნესის ასოციაციის“ პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვა ვერ დადასტურდა. ამასთან, მოპასუხეს სიტყვისა და აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება გარანტირებული აქვს როგორც კონსტიტუციით, ისე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონით“.

გამართლდა ჩვენი მოლოდინი და „სათამაშო ბიზნესის ასოციაციამ“ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. მოითხოვა, გიორგი ბახტურიძის და შემდგომ ნებისმიერი პირის სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმ მოტივით, რომ მასში შემავალ სუბიექტებს ზიანი ადგება.

ალოგიკურია, რომ საკუთარი იმიჯის შელახვის ბრალდებებს აყენებს სათამაშო ბიზნესი, როდესაც თვითონ არის უამრავი ადამიანისთვის გამოუსწორებელი, ტრაგიკული ზიანის გამომწვევი. გიორგი ბახტურიძემ სათამაშო ბიზნესის შესახებ გამოთქვა აზრი, რომელიც დღემდე სხვადასხვა მედია საშუალებების მიერ, ან გარკვეული კვლევების საფუძველზე გავრცელებულ ინფორმაციებს ეყრდნობა და არავის აქვს უფლება აზრის გამოხატვის თავისუფლება შეუზღუდოს, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ უფლებას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ მკაფიოდ განმარტავს და იცავს კანონი.

მიგვაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის თვალსაჩინოება იმის, თუ როგორი მიუკერძოებელია სასამართლო სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების დაცვისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარეს დგას მრავალმილიარდიანი ბიზნესი უზარმაზარი გავლენებით ყველა სახელისუფლებო შტოზე.

ჩვენი და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიზანია ამ ე.წ. ბიზნესის რეკლამის და პოპულარიზაციის სრული აკრძალვა, ონლაინთამაშების სრული აკრძალვა, სახმელეთო სათამაშო ბიზნესის მხოლოდ ერთ მდებარეობაზე, საზღვრისპირა დაუსახლებელ გარემოში გატანა, სადაც მხოლოდ 25 წლის ზემოთ ასაკის და 100.000-ზე ნლიური შემოსავლის მქონე პირებს ექნებათ თამაშის უფლება და ისიც წაგების მარჟის კონტროლით, რათა არ გაკოტრდნენ და სიცოცხლე არ მოისწრაფონ.

ერთად შევძლებთ გამარჯვებას და ჩვენი მოსახლეობის ნაწილის ილუზიისგან გამოყვანას, რომ ეს ბიზნესი ოდესმე რამეს მოაგებინებს. ვეჭვობთ, „სათამაშო ბიზნესის ასოციაცია“ ამ შემთხვევაშიც განაგრძობს „სამართლის ძიებას“ და როგორც გიორგი ბახტურიძე ვარაუდობს, ამჯერად საკასაციო სასამართლოში უჩივლებენ“, – აღნიშნულია „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სპეცოპერაცია ჩიტაიას ქუჩაზე

2 პირი დააკავეს

თბილისში, ჩიტაიას ქუჩაზე, 3 თებერვალს სპეცოპერაცია ჩატარდა. სამართალდამცავებმა ორი პირი სუპერმარკეტ „სპარის“ დაყაჩაღების დროს დააკავეს.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

თავდამსხმელები დანით და ცეცხლსასროლი იარაღით ცდილობდნენ ობიექტის დაყაჩაღებას.

შემთხვევა დაახლოებით დილის 7 საათზე მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩიტაიას ქუჩაზე, სუპერმარკეტ „სპარის“ დაყაჩაღებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჯგუფური ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით ორი პირი – 2004 წელს დაბადებული გ.ხ. და 2003 წელს დაბადებული გ.ბ. დანაშაულის ჩადენის ადგილზე დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ გლუვლულიანი სანადირო თოფითა და ცივი იარაღით შეიარაღებულმა ბრალდებულებმა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით, ჩიტაიას ქუჩაზე მდებარე მაღაზია „სპარის“ მოლარეებს თანხა მოსთხოვეს, ხოლო ბრალდებულმა გ.ხ.-მ მაღაზიაში შესვლისთანავე იარაღიდან უმისამართოდ გაისროლა. გ.ხ.-მ და გ.ბ.-მ მაღაზიის მოლარეს 300 ლარამდე თანხა წაართვეს, რის შემდეგაც მიმალვას შეეცადნენ, რა დროსაც მაღაზიის შესასვლელთან საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა დააკავა.

სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით დანაშაულის ჩადენის იარაღები – გლუვლულიანი სანადირო თოფი და დანა ამოიღეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა– შენახვას გულისხმობს, დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 680 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 680 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 110 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად, 570 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

გორის გვირაბთან ევაკუატორი ტრაილერს შეასკდა

მძღოლი ადგილზე დაიღუპა

ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა ავარიას 3 თებერვალს ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე.

გორის გვირაბთან მოძრავი ევაკუატორის მძღოლი ტრაილერს შეეჯახა და ადგილზე დაიღუპა.

ავარიის გამო დროებით შეზღუდული იყო მოძრაობა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

„უთქვამს, შველი შემხვდა და მას ავაცილეო“

36 წლის მაია დევაძე მანქანით ხევში გადავარდა

2 თებერვალს ქედაში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მსუბუქი ავტომობილი ხევში გადავარდა. მანქანაში მხოლოდ მძღოლი, 36 წლის მაია დევაძე იმყოფებოდა. ის მრავლობითი დაზიანებებით ქედის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მოგვიანებით გარდაიცვალა. მაია დევაძე ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარას მკვიდრი და ინგლისური ენის მასწავლებელი იყო.

– ჩვენს სოფელში დაიბადა და გაიზარდა, დაბა ქედაში იყო გათხოვილი. ერთი შვილი ჰყავს, გოგო, ზუსტად ვერ გეტყვით, 4-5 თვის, ალბათ. ჩვენს სკოლაში ასწავლიდა, წლებია. ჩემი მასწავლებელიც იყო, მე-6 კლასიდან მასწავლიდა.

საოცარი ადამიანი და საოცარი პედაგოგი იყო. ყველას უყვარდა. შეუძლებელი იყო, არ გყვარებოდა, ისეთი ადამიანი იყო. ვერ ვიჯერებ, რომ ეს უბედურება დატრიალდა ჩვენს სოფელში და მაია მასწავლებელზე წარსულში უნდა ვისაუბროთ. რა მოხდა, არ ვიცი, როგორც სოფელში ამბობენ, მანქანა რომ გადავარდა, გრძნობაზე ყოფილა, უყვირია, დამეხმარეთო, რომ მისულან, ხელი არ მახლოთ, ყველაფერი მტკივაო, უთქვამს. საავადმყოფოში, როგორც ვიცი, მაიას უთქვამს, შველი შემხვდა და მას ავაცილეო, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

ნავალნის 3,5 წელი მიუსაჯეს

მსოფლიო რუსი ოპოზიციონერის გათავისუფლებას მოითხოვს

მოსკოვში შედგა რუსი ოპოზიციონერის ალექსეი ნავალნის სასამართლო პროცესი. მას ბრალად ედება ის, რომ პირობითი სასჯელის პირობებში დადგენილი ნორმები არ დაიცვა.

თავად ნავალნიმ პრეზიდენტი პუტინი დაადანაშაულა ადამიანების მკლელობებში, იმაში, რომ მისი მოწამვლაც პუტინის დავალებით მოხდა.

– რუსეთის პრეზიდენტი ისტორიაში შევა, როგორც მომწამვლელი, – განაცხადა ნავალნიმ.

ნავალნის 3,5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. თავის უკანასკნელ სიტყვაში მან თავს პუტინის პატიმარი უწოდა.

– ბრძოლას ციხის საკნიდანაც გავაგრძელებ! – თქვა ნავალნიმ.

ლატვიის, ლიტვიისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ნავალნის გათავისუფლება მოითხოვეს. მათ წერილით მიმართეს გაეროს, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს და მოუწოდეს, რომ აქტიურად ჩაერთონ ნავალნის გათავისუფლების საქმეში.

– ნავალნის დაკავება გვიჩვენებს, რომ რუსეთში ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელება, – ამბობენ ბალტიისპირეთის ქვეყნების მინისტრები.

რუსი ოპოზიციონერის დაუყოვნებლივ გათავისუფლება გერმანიისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრებმაც მოითხოვეს. აშშ-მ და ევროკავშირმა დაგმეს ნავალნის დაკავება.

გერმანიის მთავრობაში აცხადებენ, რომ მოსკოვის სასამართლოს მიერ ალექსეი ნავალნის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენისა და პოლიციის მიერ მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გამოყენების გამო რუსეთს, შესაძლოა, ახალი სანქციები დაუწესონ.

კითხვაზე, განიხილავს თუ არა გერმანია რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებას, ანგელა მერკელის პრესსპიკერმა შტეფან ზიბერტმა განაცხადა, რომ ევროკავშირმა მოსკოვს ნერვული აგენტის გამოყენებით ნავალნიზე განხორციელებული თავდასხმის გამო სანქციები უკვე დაუწესა, თუმცა ახალი სანქციების დაწესება გამორიცხული არ არის.

– რუსეთის წინააღმდეგ შემდგომი სანქციების დაწესება გამორიცხული არ არის, – განაცხადა შტეფან ზიბერტმა.

მისი თქმით, ნავალნის საქმის მიმართ მოსკოვის დამოკიდებულება ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებს არღვევს.

ამან კრემლი აღაშფოთა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადება გააკეთა.

– ნავალნის გათავისუფლების მოთხოვნა წარმოადგენს ანგაჟირებას, – ნათქვამია განცხადებაში.

ბექნუ ქაფიანიძე: „ჩვენი ხელისუფლების პრობლემა, იცით, რა არის?“

მსახიობი ბექნუ ქაფიანიძე ამ კითხვით ქართველ საზოგადოებას მიმართავს და პასუხსაც თავად სცემს:

– ყოველგვარი პათოსისა და გადაჭარბების გარეშე: ჩვენი ხელისუფლების პრობლემა, იცით, რაშია? ინერტულობაში. შიშში. ამბიციური ადამიანების არაპროფესიონალიზში, ზედმეტად საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანების არაადეკვატურობაში.

რატომ არ ყმუიხართ ხალხის კეთილდღეობისთვის. რა პირით უყურებთ 300-ლარიანი ჯამაგირით მცხოვრებ ხალხს. რატომ არ ღრიალებთ მათი კეთილდღეობისთვის ტრიბუნებიდან.

ადამიანებს, რომლებიც განადგურებული არიან, ძნელია, ცუდსა და უარესს შორის განსხვავებაზე ესაუბრო. გავშლიდი ამ თემას, მაგრამ რა აზრი აქვს. წერე და იკითხე. მოკლედ, რა... მე მიყვარს ჩემი ხალხი, მათხოვარიც და მდიდარიც. თქვენ არ გიყვართ ისე, როგორც საჭიროა. სამწუხაროდ, არ გეტყობათ.

დეა კულუმბეგაშვილის „დასაწყისი“ ტრიესტეს კინოფესტივალის გამარჯვებულია

რეჟისორ დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „დასაწყისი“ ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა. ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალი 1989 წლიდან იმართება და იგი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში წამყვანი იტალიური ფესტივალია.

„დასაწყისი“ რეჟისორის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმია და უკვე არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის ტრიუმფატორია.

ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალის დაჯილდოების ცერემონია ონლაინ მიმდინარეობდა და მას კინოფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელები – ნიკოლეტა რომეო და ფაბრიციო გროზოლი უძღვებოდნენ. ფესტივალის მთავარი ჯილდო საუკეთესო ფილმისთვის წარადგინა ჟიურის წევრმა პაოლო ბერტოლინმა. დაჯილდოების ცერემონიას თბილისიდან რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი ონლაინ შეუერთდა.

„დასაწყისი“ დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ნამუშევარია. ფილმი 2020 წელს კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ სელექციაში შეირჩა. კორონავირუსის პანდემიის გამო კინოფესტივალი არ ჩატარდა ტრადიციული ფორმით, თუმცა „დასაწყისი“ მოგვიანებით კანში ფესტივალის სპეციალური გამოშვების ფარგლებში მაინც აჩვენეს.

„დასაწყისის“ ჩრდილოამერიკული პრემიერა ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც ფილმს კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის ჯილდო გადაეცა. დეა კულუმბეგაშვილის ნამუშევრის მსოფლიო პრემიერა კი სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა, სადაც ფილმი 4 ჯილდოს მფლობელი გახდა: ფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს ნიჟარა“, საუკეთესო რეჟისორის ჯილდო (დეა კულუმბეგაშვილი), საუკეთესო მსახიობი ქალის ჯილდო (ია სუხიტაშვილი) და ჟიურის სპეციალური პრიზი საუკეთესო სცენარისთვის (დეა კულუმბეგაშვილი, რატი ონელი).

„დასაწყისი“ ლაგოდეხსა და მის გარშემო სოფლებშია გადაღებული. ფილმი შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით და საქართველო-საფრანგეთის კოპროდუქციაა.

გერმანელი ექიმები პორტუგალიაში დასახმარებლად ჩავიდნენ

კორონავირუსის კრიზისის ფონზე, გერმანელი სამხედრო ექიმები ლისაბონში დასახმარებლად ჩავიდნენ.

ამასთან, პორტუგალიაში სამედიცინო ინვენტარი ჩაიტანეს, მათ შორის საავადმყოფოს 150 საწოლი და 50 სასუნთქი აპარატი.

სამხედრო თვითმფრინავმა ქვეყანაში 26 ექიმი, ექთანი და სანიტარიული ექსპერტი ჩაიყვანა. გერმანელი ექიმების გუნდი პორტუგალიაში 3 კვირის განმავლობაში დარჩება.

პორტუგალიის საავადმყოფოები გადაჭედილია და სამედიცინო სისტემა კოლაფსის პირას არის. ზოგჯერ სასწრაფო დახმარების მანქანები, საწოლების დეფიციტის გამო, საათობით რიგში იცდიან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ოთარ იოსელიანი 87 წლის გახდა



მსოფლიოში ცნობილი ქართველი კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი 87 წლის გახდა. არაერთი ჯილდოს, პრემიისა და წოდების მფლობელი კვლავაც აქტიურად მუშაობს და გაჩერებას არ აპირებს.

– ძალიან მაღიზიანებს, როცა კინოში ბევრს ლაპარაკობენ. ფრანგულ კინოში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. ეს კავშირშია ფრანგულ კომედიასთან, მოლიერთან, თეატრიდან კინემატოგრაფში გადატანილი ტრადიციაა. კინო უსიტყვოდაც გასაგები უნდა იყოს, რადგან ის ცირკი არ არის. მე მჭირდება მხოლოდ მუსიკა და მოქმედება: ჟესტები, გამოხედვები, ადამიანთა გადაადგილება ერთმანეთისა და კამერის მიმართ, – ამბობს იუბილარი რეჟისორი.

მთელი მისი შემოქმედება გამომსახველობითი პოეტურობით არის აღსავსე და მარადიულ თემებზე გვესაუბრება მისთვის ჩვეული ირონიულობითა და დახვეწილი იუმორით: თუ როგორ იკავებენ ადამიანის ადგილს ნივთები, ინსტიტუციები, კაპიტალი, სისტემები და წარმოდგენები.

ოთარ იოსელიანმა თბილისის კონსერვატორია დაამთავრა და მოსკოვში ჯერ სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ისწავლა, შემდეგ კი – საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში. მისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი იყო „აპრილი“, პირველი სრულმეტრაჟიანი კი – „გიორგობისთვე“. ამ ფილმისთვის იუბილარმა რეჟისორმა საუკეთესო დებიუტისთვის კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე პრესის სპეციალური ჯილდო და ჟორჟ სადულის პრიზი დაიმსახურა.

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რეჟისორი საფრანგეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ლოკარნოს 66-ე საერთაშორისო კინოფესტივალმა ოთარ იოსელიანის შემოქმედებას სიმპოზიუმი მიუძღვნა, სადაც მისი ფილმები აჩვენეს:

– ოთარ იოსელიანისთვის ამ საპატიო ჯილდოს გადაცემა ემსახურება კინოფესტივალის მისიას, მაყურებელს გააცნოს ის უაღრესად ინდივიდუალური და გამორჩეული ხმები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, თანამედროვე კინემატოგრაფის სახეს ქმნიან, – განაცხადა ლოკარნოს კინოფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა კარლო კატრიანმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მოცურავემ თავში ჩაფრენილი ნიანგისგან თავის დაღწევა შეძლო

ავსტრალიის ქალაქ კერნსის მკვიდრმა მოცურავემ ტბაში ცურვის დროს თავში ჩაფრენილი ნიანგისგან თავის დაღწევა მოახერხა.

ხუთშაბათს, 28 იანვარს, 44 წლის მამაკაცი ქალაქის გარეუბანში მდებარე პარკ ლეიკ-პლასიდის ტბაში ვარჯიშობდა. მოულოდნელად მან იგრძნო, რომ თავში რაღაც ჩააფრინდა. მამაკაცი შეეცადა შიშველი ხელებით გაეღებინებინა თავზე შემოჭდობილი ნიანგისთვის ყბები. მან ეს მოახერხა და რეპტილიას თავი დააღწია.

პარამედიკოსის პოლ სუინის თქმით, მამაკაცს გაუმართლა, რომ გადარჩა. მას ამ ინციდენტის შედეგად თავზე, ხელებსა და მხრებზე მრავალობითი ჭრილობები დარჩა. შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების მისვლის მომენტისთვის მამაკაცს გონება არ ჰქონდა დაკარგული. ავსტრალიელი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მისი მდგომარეობა სტაბილურად ფასდება. ბუნების დაცვის სამსახურის სპეციალისტებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს. ისინი შემთხვევის ადგილზე ნიანგის მოსაძებნად გავიდნენ.

მოლარის შეცდომამ ქალი გაამდიდრა

ამერიკის არკანზასის შტატის ქალაქ ბონოს მცხოვრებმა ქალმა პროდუქტების მაღაზიის მოლარის შეცდომის წყალობით მილიონი დოლარი მოიგო.

კერი მიდლბრუკი სუპერმარკეტში პროდუქტების შესაძენად იმყოფებოდა, რომელთა ყიდვაც მის მეუღლეს დაავიწყდა. ქალმა გადაწყვიტა, პროდუქტების გარდა, რამდენიმე ათდოლარიანი ლატარიის ბილეთიც შეეძინა, თუმცა მოლარე შეცდა და, ათდოლარიანების გარდა, ერთი ოცდოლარიანი ბილეთიც მისცა.

მიდლბრუკმა გადაწყვიტა, ბილეთი არ შეეცვალა, დაიტოვა და მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ გათამაშების შედეგების შემოწმებას შეუდგა. შედეგად სწორედ ოცდოლარიანმა ლატარიის ბილეთმა გაამდიდრა ქალი მილიონი დოლარით.

სახლში მიმავალმა მიდლბრუკმა მეუღლეს დაურეკა და სთხოვა, რომ სახლიდან გამოსულიყო და გარეთ დახვედროდა.

– მანქანის კარი გავუღე და ატირებული მეუღლე დავინახე, ვიფიქრე, რომ ალბათ გზაში რომელიმე ცხოველს, მაგალითად, ირემს დაეჯახა, – იხსენებს ქალის მეუღლე მაიკლი, – როდესაც ბილეთი ვნახე, მომხდარი ვერაფრით დავიჯერე.

მოგებული თანხით ოჯახური წყვილი სახლისა და ავტომობილის კრედიტის დაფარვას გეგმავს, ხოლო დანარჩენ თანხას სამომავლოდ გადადებენ.

მასობრივი ორგიის მონაწილეები ნიღბების არქონის გამო დააჯარიმეს

საფრანგეთში პოლიციამ მასობრივი ორგიის მონაწილეები კორონავირუსის ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგო შეზღუდვების დარღვევის გამო დააჯარიმეს.

სამართალდამცავებმა პარიზის გარეუბანში მდებარე საგანგებოდ ნაქირავები საწყობი მოინახულეს მას შემდეგ, რაც მიიღეს ინფორმაცია ქალებისა და მამაკაცების „გარყვნილი“ თავყრილობის თაობაზე. როდესაც პოლიცია საწყობში მივიდა, ორგია, რომელშიც ასამდე ადამიანი მონაწილეობდა, კარგად იყო გახურებული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მათ დაარღვიეს შემოღებული კომენდანტის საათი, ასევე არ ჰქონდათ სამედიცინო ნიღბები და არ იცავდნენ სოციალურ დისტანციას.

ორგიის მონაწილეებს სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. მისი სამი ორგანიზატორი პოლიციამ დააპატიმრა, დანარჩენები კი დააჯარიმეს შემოღებული აკრძალვების წესების დარღვევისთვის. მათ ჩამოერთვათ ხმოვანი და სინათლის მოწყობილობები, ასევე ალკოჰოლური სასმელები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მულტიმილიონერი ქალი ეკონომიის მიზნით კატის კონსერვებს ჭამდა

ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასის მკვიდრმა, რომლის ქონება დაახლოვებით 5,3 მილიონ დოლარადაა შეფასებული, განაცხადა, რომ ყველაფერზე ეკონომიას აკეთებს და კატის კონსერვებით იკვებება.

50 წლის ემი ელიზაბეტი საკუთარ თავს მსოფლიოში ყველაზე ეკონომიურ მულტიმილიონერს უწოდებს. ის ცდილობს, თვეში ათას დოლარზე მეტი არ დახარჯოს და ამისთვის ყველაზე დახვეწილ მეთოდებს იყენებს. მაგალითად, მან იცის, რომ 22 წუთი სჭირდება წყლის გასაცხელებლად, ამიტომ მას წყლის გამაცხელებელი გამორთული აქვს და მხოლოდ შხაპის მიღების წინ რთავს ტაიმერს.

ქალი ახალს არაფერს ყიდულობს და ყველა ნივთს მანამდე იყენებს, სანამ გამოსაყენებლად სრულიად უვარგისი არ გახდება. მას მხოლოდ ერთი დანა აქვს, რომელსაც წყლის

ეკონომიის მიზნით არასოდეს რეცხავს. ელიზაბეტს სახლი მეუღლისგან ერგო.

თუ თვის ბოლოსთვის ქალი ხვდება, რომ წინასწარ განსაზღვრულ ბიუჯეტში ვერ ჯდება, მაშინ ყველაზე იაფ კატის საკვებს ყიდულობს. ლოს-ანჯელესში რეგულარულ მივლინებებში ის თავისი 17 წლის მანქანით მიემგზავრება და ამით ავიაბილეთებზე ეკონომიას აკეთებს.

– როდესაც ამ უკიდურესობებში ვვარდები, მგონია, რომ ადამიანები ამას ამჩნევენ და ბევრს ეს აღიზიანებს, თუმცა ეს მე საერთოდ არ მაღელვებს, ვინაიდან ეს ფულს მიზოგავს, – განმარტა ელიზაბეტმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველო ფუტსალში რუსეთთან დამარცხდა

საქართველოს ფუტსალის ნაკრები ევრო 2022-ის შესარჩევ მატჩში შინ რუსეთს დაუხვდა და 0:4 დამარცხდა.

მეტოქე თბილისს მსოფლიოს ვიცეჩემპიონის რანგში ესტუმრა და მძიმე თამაში რომ იქნებოდა, შეხვედრის დაწყებამდეც ნათელი იყო. თავიდან რუსები მცირე უპირატესობას ფლობდნენ და მე-5 წუთზე გოლშიც გარდასახეს: ჩვენს კართან კუთხური დაინიშნა, რუსებმა დამუშავებული კომბინაცია გაათამაშეს და რომულომ ანგარიში გახსნა.

გაშვებული გოლის შემდეგ საქართველოს ნაკრებს 2 ჩინებული შანსი ჰქონდა: ჯერ მეკარესთან პირისპირ გასულმა რონინიომ არაზუსტი პასი გაუკეთა თანაგუნდელს, შემდეგ კი ელისანდრომ ძელს გაარტყა ბურთი.

თითქოს ანგარიში უნდა გათანაბრებულიყო, მაგრამ უხეში შეცდომა დავუშვით – ბინიომ აუტი „გადაარჩინა“, მაგრამ ნიაზოვი კუპატაძესთან პირისპირ გაიყვანა, რომელმაც ანგარიში ორამდე გაზარდა. ეს ტაიმის შუაში მოხდა.

შესვენებამდე ჩვენებს რამდენიმე შანსი მიეცათ. შაგინიამ სულაც ხარიხას გაარტყა ბურთი, მაგრამ ანგარიში ვერ შევცვალეთ.

მე-2 ტაიმში 7 წუთის განმავლობაში მარტო ჩვენ ვუტევდით, რუსები ერთხელ გადმოვიდნენ ჩვენს ნახევარზე, რონინიოც შეცდა და დავიდოვმა მატჩის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვიტა.

თამაში ფუტსალისთვის „კლასიკურ“ სტილში გაგრძელდა – რუსები უკან დადგნენ, მაგრამ კონტრშეტევაზე ნიაზოვმა კიდევ გაგვიტანა.

საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს 5 მარტს თბილისში სომხეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებს.

ვლადიმერ დვალიშვილი: „გეგუჩაძიდან გეგუჩაძემდე“

საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ვლადიმერ დვალიშვილმა საფეხბურთო კარიერა გასული სეზონის შემდეგ დაასრულა და უმალვე ბათუმის დინამოს სპორტული დირექტორის პოსტს დაიკავა – იმ კლუბის, სადაც ბოლოს თამაშობდა.

ლადომ ახალ ამპლუაში საქმიანობა აქტიურად დაიწყო. მისი კავშირებით გუნდში რამდენიმე კარგი ფეხბურთელი მივიდა, მათ შორის, უკრაინელი ოლეკსანდრ აზაცკი და ფრანგი ვამარა სანოგო.

– რთული არ იყო ერთი საქმიდან მეორეზე გადართვა?

– ახალ ამპლუაში თავს კომფორტულად ვგრძნობ. სხვისთვის არ ვიცი, ჩემთვის კი რთული არ ყოფილა. მარტო ვერაფერს ვიზამდი, რომ არა კლუბის პრეზიდენტი, რისთვისაც მადლობა არჩილ ბერიძეს. დრო გვიჩვენებს, რა და როგორ მოხდება, თუმცა ამ საქმეში ბევრი რამ ფინანსებთანაა დაკავშირებული.

– მომავალში მწვრთნელობას ხომ არ აპირებ?

– არა, მწვრთნელობაზე არ მიფიქრია. დღეს სადაც ვარ, ეს მომწონს. არასოდესო არ უნდა თქვა, მაგრამ თითქმის გამოვრიცხავ. როგორც ბავშვი ირჩევს ფეხბურთის თამაშს, ან კალათბურთის, ან ჭიდაობას, ასეა ესეც.

– ბათუმის დინამოს ახალწვეულ ვამარა სანოგოზე გვითხარი.

– ძალიან ძლიერია, ლეგიაში პოლონეთის ჩემპიონი გახდა. ტრავმამ შეუშალა ხელი, თორემ ლეგიაზე უკეთეს გუნდშიც მოხვდებოდა. იდეალურ ასაკშია, 25 წლისაა და ახლა ჯანმრთელად არის. იმედი მაქვს, ბათუმის დინამოს დაეხმარება.

– რა დაგაკლდათ შარშან და შარშანწინ ჩემპიონობამდე? არადა, ახლოს იყავით, ლიდერობდით.

– შარშანწინ მთავარი პრობლემა მინდორი იყო, სადაც ვთამაშობდით და ვარჯიშებს ვატარებდით. გუნდი კი ისეთი სტილით თამაშობს, რომ ცუდ გაზონზე ძნელია შედეგის მიღწევა. ჩვენი პლუსი რა უნდა ყოფილიყო? მინდორი და გულშემატკივრები... აი, შარშანაც ჩემპიონატის ყველაზე პრინციპული მატჩი ქუთაისში ჩავატარეთ (თბილისის დინამოსთან 1:3), პლუს ქომაგების გარეშე. იმედია, ახლა სხვანაირად იქნება. ახლა 3 თვე თბილისში ვიქნებით, მანამდე კი ბათუმში ბაზაზეც გაკეთდება კარგი მინდვრები. ახალ სტადიონზე ახალი გაზონი გვექნება – საფარს ცვლიან და არაჩვეულებრივი მინდორი კეთდება. ბაზას დაახლოებით 3 თვე სჭირდება, მთავარ სტადიონზე კი, შესაძლოა, მანამდეც მოესწროს თამაში. ამიტომ პირველ ტურებში შეიძლება ისე მოხდეს, რომ თბილისში ვივარჯიშოთ და ბათუმში ჩავატაროთ საშინაო მატჩები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მიზანი საქართველოს ჩემპიონობაა და ევროტურნირებზეც კარგად უნდა გამოვიდეთ – ნავსი უნდა გავტეხოთ!

– შენი კარიერის საუკეთესო სეზონს თუ გამოარჩევ?

– მქონდა ბევრი კარგი პერიოდი, ასევე – მძიმეც. 5-6 წელი სტაბილურ დონეზე ვითამაშე – გოლები გამქონდა, რიგის სკონტოდან დაწყებული, პოლონეთის ლეგიაში ჩატარებული სეზონის ჩათვლით. მინიმუმ 15 გოლი გამქონდა სეზონში, რაც ცოტა არ არის. ტოპფორვარდისთვის ბევრი არ არის. რომ გადავხედო, ცუდი წლები არ იყო. თბილისის დინამოში, ოლიმპსა და საბურთალოში მოპოვებული საქართველოს ჩემპიონობაც კარგად მახსენდება.

– მწვრთნელი, რომელმაც შენს კარიერაში განსაკუთრებული როლი შეასრულა და გენდო...

– უპირველესად, გია გეგუჩაძე. დგება დრო, ბავშვთა ფეხბურთიდან დიდებში უნდა გადახვიდე. 16 წლის მივედი დინამოს აკადემიაში, რომელიც ახალი გახსნილი იყო და ხელმძღვანელი გეგუჩაძე გახლდათ. სინჯების შემდეგ დამტოვეს გუნდში. კონტრაქტს მოვაწერე ხელი – სტიპენდია დამინიშნეს. ეტაპობრივად პირველ გუნდში გადავედი, სადაც იმ დროს უკვე გია გახლდათ მთავარი მწვრთნელი და სიმბოლურია, რომ სწორედ მისი მწვრთნელობის დროს დავასრულე შარშან კარიერა. ასე რომ, მის როლს გამოვარჩევ. ქართველებიდან ასევე ვიტყოდი გიორგი ჭიაბრიშვილზე – მცოდნე სპეციალისტია. უცხოელებიდან პოლონელ სტოკოვიეცის გამოვარჩევდი, როდესაც პოლონიაში ვიყავი. ექტორ კუპერი, რომელმაც ნაკრებში პირველად გამომიძახა და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ასევე ვლადიმირ ვაისი – ბევრი დადებითი რამ შეგეძლო, მისგან აგეთვისებინა.

მუსოლინის შვილთაშვილი ლაციოში ითამაშებს

43

Roma Sport

31 | Martedì 2 Febbraio 2021 | www.corrieresport.it

LAZIO, UN MUSSOLINI IN PANCHINA

▸Romano, figlio della politica Alessandra e di Mauro Floriani nelle ultime due partite è stato convocato con la Primavera

▸Terzino destro, fisico longilineo, ha da poco compiuto 18 anni I biancocelesti nel 2016 lo strapparono all'Academy della Roma

IL PERSONAGGIO

C'è un Mussolini che gioca con la Lazio. No, nessun caso di omonimia. La discendenza è diretta e il protagonista del Duce, Floriani. Cognome pesante. Un nome ingombrante quanto pesante e rigettato dalla gente parte del popolo biancoceleste che nell'equazione fascisti=fascisti=Lazio, non ha digerito che un nome (senza Romano) che per la politica non ha nessuna parentela. Prima solo al calcio. Ha da poco compiuto 18 anni, il 27 gennaio, e gioca come terzino destro. Ma su fare bene anche di centrale. Bravo a scuola, frequenta l'ultimo anno del Jo Gioseppe Berlinda International School, una scuola internazionale che ha sede a Roma e ingombrante, ma soprattutto quanto gli importa molto. Tanto che lui li ha scritti tutti e due. Il pensare che ha anche sei nomi registrati in chiesa: Romano e Maria, come i nonni materni, Benito come il bisnonno, Mauro come il padre, Magdi come il secondo marito della nonna materna e Andrea, come il marito della zia Elisabetta. Chiesa che a Indizzo all'occhio è il cognome materno. Sembra nemmeno di stare di marca e not tabellini. Sembra nemmeno di stare di marca e not tabellini. Sembra nemmeno di stare di marca e not tabellini

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3048

ევრო — 3.9909

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5296

100 რუსული რუბლი — 4.3625

ამინდის პროგნოზი 4 თებერვლისათვის

2018311219670

21 იანვრიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება

მაია ბურჭულაძის სერიალის „დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“

7-ტომეული

21 იანვრიდან ..... ტომი 1
25 იანვრიდან..... ტომი 2
28 იანვრიდან..... ტომი 3
1 თებერვლიდან ..... ტომი 4
4 თებერვლიდან..... ტომი 5
8 თებერვლიდან..... ტომი 6
11 თებერვლიდან..... ტომი 7

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

ანეკდოტი

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეუბნება:

– ძვირფასო, მანქანა გაფუჭებულია...

– საიდან მოიტანე?

– დისპლეიზე უნიტაზზე მჯდომი მამაკაცია გამოსახული.

– რა? სურათი გამომიგზავნე.

მცირე ხნის შემდეგ ქმარი ცოლს ეუბნება:

– სულელო, ეგ ნიშნავს, რომ გარეთ მინუს ოთხი გრადუსია.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ოდესმე ჩემი დაკარგვის თუ შეგშინებია?

– რა თქმა უნდა, საყვარელო, ერთხელ ავტობუსში ჩასაჯდომად მივდიოდით... მე ჩამოგრჩი, მთელი ფული კი შენ გედო ხელჩანთაში.

●●●

მასწავლებელი მოსწავლეებს ზღაპარს უკითხავს:

– ბავშვებო, როდესაც ღამდება და მაღაზია იკეტება, სათამაშოები ცოცხლდებიან და ცხოვრებას იწყებენ...

– ამ დროს კლასიდან პატარა გიგიმ დაიძახა:

– წარმომიდგენია, რა ხდება ღამით სექსშოპებში...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სოლსკიაერი: „ასეთი გამარჯვებები ძალიან სასიამოვნოა“

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა საუთჰემპტონთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ მსგავსი მატჩები ძალიან კარგია გუნდისთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და მომავალში ეს მათ აუცილებლად დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ მანჩესტერმა საუთჰემპტონს 9:0 მოუგო.

– ნამდვილად არ ველოდი, რომ შეხვედრა ასეთი ანგარიშით დასრულდებოდა, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა მაქსიმუმი გააკეთეს. ჩვენ თითქმის იდეალურ ფორმაში ვართ და იმედი მაქვს, სეზონის ბოლომდე ასე იქნება, – განაცხადა სოლსკიაერმა.

კილიან მბაპეს შეძენა ლივერპულსაც მოუნდა

ფრანგული პსჟ-ს ფორვარდის კილიან მბაპეს ყიდვის სურვილი ლივერპულსაც გაუჩნდა და ინგლისელებმა, შესაძლოა, მის ტრანსფერში 80 მილიონი ევრო გადაიხადონ, თუ პსჟ ამ თანხას დასთანხმდება.

ლივერპულის გარდა, მბაპეს ყიდვა უკვე დიდი ხანია, რეალს სურს, ხოლო თვითონ ფეხბურთელი პსჟ-სთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას ჯერ არ ჩქარობს.

პსჟ მზად არის, თუ ის დარჩენას დასთანხმდება, მბაპეს ხელფასი გაუორმაგოს.

სერხიო რამოსი რეალიდან წასვლას აპირებს

სერხიო რამოსმა სოციალურ ქსელში მოიწონა ის პოსტი, სადაც მისი რეალიდან წასვლის შესახებ იყო საუბარი. ბუნებრივია, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ რამოსმა თავისი მოწონება გააუქმა.

რამოსი რეალს ახალი კონტრაქტის თაობაზე ვერ უთანხმდება და ამის გამო, დიდი ალბათობით, გუნდს დატოვებს, თუმცა, სად გააგრძელებს კარიერას, ცნობილი არ არის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მეი მასკი ანუკი არეშიძის კაბით პოზიორობს

ტესლასა და იქს სფეისის დამფუძნებლის ილონ მასკის დედა მეი მასკი ქართველი დიზაინერის ანუკი არეშიძის კაბით პოზიორობს.

ფოტო ინტერნეტში გავრცელდა და უამრავი გაზიარება და მოწონება დაიმსახურა.

მეი მასკის ფოტო ანუკი არეშიძემაც სიამოვნებით გააზიარა და ათასობით მომხმარებლის მოწონება და დადებითი შეფასება დაიმსახურა.

ერეკლე მეორის 300 წლის იუბილეზე ალბომი გამოიცა

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი მეფის ერეკლე მეორის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა ალბომი „მეფე ერეკლე“ გამოსცა.

წიგნი მკითხველს ვიზუალური მასალით მოუთხრობს ერეკლე მეფის ცხოვრებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ. გამოცემაში შეტანილია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ისტორიული საბუთები, ხელნაწერები, პირადი წერილები, მეფისა და მისი ოჯახის წევრების პორტრეტები, სხვადასხვა საარქივო და სამუზეუმო დაწესებულებაში დაცული მეფე ერეკლეს პირადი ნივთები, ფერწერული ტილოები...

წიგნი ასახავს მე-18 საუკუნეში მოღვაწე საქართველოს გამორჩეული მეფის სამხედრო-პოლიტიკურ და პირად ცხოვრებას და მის შესახებ მკითხველს მრავალ საინტერესო ცნობას აწვდის. წიგნში შეტანილი არაერთი დოკუმენტი პირველად ქვეყნდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მეგან მარკლმა დედოფლის დაბადების დღის აღნიშვნაზე უარი განაცხადა

მეგან მარკლმა დიდ ბრიტანეთში სამეფო ოჯახთან შეხვედრაზე ჩასვლა გადაიფიქრა.

ნავარაუდევი იყო, რომ მეგან მარკლი და მისი მეუღლე პრინცი ჰარი ზაფხულში გასულ წელს აშშ-ში გადაბარგების შემდეგ პირველად ჩავიდოდნენ დიდ ბრიტანეთში. მიმდინარე წლის იანვარში დედოფალმა ელისაბედ II-მ პრინცი ჰარი და მისი მეუღლე თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად სახელმწიფო დროშის გამოტანასა და სამხედრო აღლუმზე მიიწვია, რომელიც 12 ივნისს გაიმართება. გარდა ამისა, ჩასვლის შემთხვევაში მათ შეეძლოთ, მონაწილეობა მიეღოთ პრინც ფილიპის, დედოფალ ელისაბედ II-ის მეუღლისა და პრინც ჰარის პაპის 100 წლისთავის აღნიშვნაში. ეს დღე 10 ივნისს აღინიშნება, ხოლო 1 ივლისს გაიხსნება პრინცესა დიანას ძეგლი. პრინცი ჰარი ძეგლის გახსნაზე თავის ძმასთან, პრინც უილიამთან ერთად დასწრებას აპირებდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეგან მარკლი არ აპირებს მეუღლის თანხლებას ამ ვიზიტის დროს და შეერთებულ შტატებში დარჩება. მტკიცდება, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ნაკარნახევია პირადული და პრაქტიკული მიზეზებით. საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. ის დამოკიდებული იქნება კოვიდ-19-ის ინფექციის პანდემიის გამო შექმნილ ვითარებასა და საერთაშორისო ფრენებზე შეზღუდვებზე.

ცოლიანმა პოლიციის უფროსმა ორ შეყვარებულზე დასაქორწინებლად საბუთები გააყალბა

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ სტინეტის პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელი ჯეისონ კოლიერი ტეხასელმა რეინჯერებმა საბუთების გაყალბებისთვის დააპატიმრეს.

დაპატიმრების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ ოთხი შვილის მამამ მეუღლესთან განქორწინების საბუთი გააყალბა, რათა შემდეგ თავის საცოლეზე დაქორწინებულიყო. კოლიერის ახალმა რჩეულმა სესილი შტეინმეცმა მისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ შემთხვევით შეიტყო. მან ფეისბუქში ნახა თავისი საქმროს ფოტოსურათები, თუმცა, როგორც გაირკვა, მათზე მამაკაცი აღბეჭდილი იყო არა თავის მეუღლესთან, არამედ სხვა შეყვარებულთან ერთად. მოტყუებული ქალები ერთმანეთს დაუკავშირდნენ და გაარკვიეს, რომ ის ცოლობას ორივეს სთავაზობდა.

მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა საცოლემ სიცრუე დასდო ბრალად, კოლიერმა მას განქორწინების საბუთი აჩვენა, ქალმა კი ამ ყველაფერზე სოციალურ ქსელებში დაწერა. მას ყურადღება მიაქციეს ქალაქის ადმინისტრაციაში, შემდეგ კი რეინჯერებს დაავალეს ვითარებაში გარკვევა, რომელიც ფედერალური საბუთების გაყალბებას შეეხებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 თებერვლისათვის

ვერძი – თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზეა. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან. ერიდეთ კამათს. **კირჩხიბი** – ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ქალწული** – სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **სასწორი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **ღრიანცელი** – ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია კარიერული წინსვლა. საქმე მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით აკეთეთ. **თხის რქა** – სისულელეებზე არ იფიქროთ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწორი დასკვნები გააკეთეთ. **მერწყული** – სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორთან ურთიერთობისას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვროსვოხდი ა



შვეულად: 1. მონასტერი ხულოს რაიონში; 2. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 3. კუთხე საქართველოში; 4. მთავარი მოედანი მილანში; 5. მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 8. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ვაჟი; 9. შემოწმების შედეგად მიღებული ოფიციალური დადასტურება, მოწონება; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 14. ჩაის ფოთლის საგრეხი მანქანა; 16. სატრფიალო, ლირიკული პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში.

თარაზულად: 1. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 6. ქართული ხალხური ცეკვა; 7. ისლანდიის პარლამენტი; 9. თურქი ჯარისკაცი; 10. კატარის დედაქალაქი; 11. ბრაზილიის ნაკრებისა და პარიზის „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 13. იტალიელი არქიტექტორი, რომელიც ხელმძღვანელობდა წმინდა პეტრეს ტაძრის მშენებლობას ვატიკანში; 15. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 17. ქართველ ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 18. სასტუმრო თბილისში; 19. მხარე ავსტრიაში; 20. პორტუგალიის ნაკრებისა და იუვენტუსის“ ფეხბურთელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა